წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

ხუთშაბათი 23 ივნისი

# სამშობლო

№ 387

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე შემოსულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 23 ივნისიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი,** მიმდინარე ამბები

## არზრუმის აღების ერთი ეპიზოდი

**ანუ №-ს პოლკის ჯარის კაცის, ლიზავეტა გაშკიროვის ქალის გმირობა.**

დრამა ორ ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

## სიყვარული ცუღლუტია.

მხიარული კომედია 3 ნაწილად მალორროსთა ცნობილ მსახიობის ლეშჩინსკის მონაწილეობით.

ელექტრო „**ამპირ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 23 ივნისიდან: ახალი პროგრამა. **პატე ჟურნალი.** მიმდინარე ამბები.

## სიყვარული ხუნდთა პრინცესასი

ძლიერი დრამა 3 დიდ განყოფილებათ. ცირკში მოთამაშეთა ცხოვრებიდან. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით

**განა ეს ქალია!** კომიკური

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული ენის მასწავლებელი** (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

## ამზადებს მოწაფეებს

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, სპეციალურად კი რუსულ ენაში.

მისამართი: მველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა

პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 4—3

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. ს ა თ. 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ბებია** მ. მ. **კიკნაძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ,

**ექიმი** ი. **ჩარკვიანი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით 11½—2 საათ. საღ. 6—8 ს. თ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.
მისამართი: ლეჟავოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**
პრივატდოცენტი
**ვ. პ. მოსეშვილი**
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.
2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**
სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

დ. ლაილაშში
**25 ივნისიდან**

## კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული ებანოიძე

მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა,.


# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 21 ივნისი. მდ. სტირსა და სტოხოდს შუა, და უფრო სამხრეთით, ბრძოლა მძვინვარებს. მტრის კონტრ-იერიშებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. სოფ ლიპასთან ჩვენი ჯარი მტერს უკან ახევინებს მიუხედავათ დიდი წინაამდეგობისა. სოფ ლიპასთან გერმანელები მდ. სტირზე გადმოსვლას ლამობდენ, მაგრამ მოვიგერიეთ. აქ დავატყვევეთ 11 აფიცერი, 1000 ჯარის კაცი და ხელთ ვიგდეთ ხუთი ტყვიისმფრქვეველი. მდ. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მტერი სამჯერ ეცადა იერიშით წამოსულიყო სოფ. ისაკოვიცან, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. კონეისკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე პოზიციიდან განდევნა მტერი და ჩარნის ჩანჩქერი დაიპყრო. აქ ხელში ვიგდეთ ოთხი ზარბაზანი და რამდენიმე ასი ტყვე. სირინთან (ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა) ბრძოლის დროს გავარღვიეთ მტრის სიმაგრეთა ორი წყება. გუშინ და დღეს ამ მიდამოებში დავატყვევეთ 72 აფიცერი. 2000 ჯარის კაცი, დავლათ დაგვრჩა 11 ზარბაზანი, რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი და ყუმბარის მტყორცნელი, იერიშების დროს მამაცურად დაიხოცნენ პოლკოვნიკები: გოვოროვი, მიხაილოვი, სირტლანოვი და პოლკოვნიკი აჯემოვი, რომელიც ჭრილობის შემდეგ გარდაიცვალა. უფრო ჩრდილოეთით ცხოველი საარტილერიო ბრძოლაა, რომელიც ზოგ ალაგას ძლიერია სოფ. ბალტაგუზის მიდამოებში (ვიშნევიოვის ტბის აღმოსავლეთით) გერმანელები თხრილებიდან ამოსვლისას ზარბაზნის სროლით უკანვე ჩავაბრუნეთ. ჩვენი საჰაერო ძალები დაეცნენ ბარანოვიჩს.

კავკასიის ასპარეზი.

ბაიბურთის მიმართულებით ჩვენი წინსვლა ვითარდება.

ჩვენ ხელთ ვიგდეთ ორი სამთო ზარბაზანი, 11 ტყვიებით სავსე ყუთი, 2 ტყვიისმფრქვეველი და 3 ყუმბარის მტყორცნელი.

სპარსეთში ჩვენი ჯარი ქერმანშაჰის მიდამოებში იბრძვის.

**პარიზი.** 20 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდ. სომმის ჩრდილოეთით მდგომარეობა უცვლელია, ქვეითა ჯარებს არ უბრძოლიათ. სომმის სამხრეთით ფრანგებმა კვლავ გაიმარჯვეს მეროკურის ტყის აღმოსავლეთით, დილით აიღეს შაპიტრის ტყე და სოფ. ფლიერი. ასევილიეს სამხრეთით ფრანგთა ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა მძლავრად გამაგრებულ გერმანელთა პოზიციაზე და შეტევით აიღო. ასევილიეს სამხრეთით ფრანგებმა განვლეს მტრის სიმაგრეთა მეორე ხაზი, დაიპყრეს ბეპოტ ეტრი და შემდეგ ბიუკური. ჩვენ დავიპყარით მტრის ტერიტორია ხუთი კილომეტრის სიღრმისა. ბელუასტერნთან და ფლოკურთან გამოჩენილან გერმანელთა დამხმარე ძალები, მაგრამ ფრანგებს არტილერიის სროლით გაუფანტავთ. ფრანგებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა, რომლიდანაც დღემდე აუნუსხავთ მხოლოდ 3 ბატარეია დიდი ყალიბის ზარბაზნებისა და 4 პატარა ყალიბისა, დიდი რიცხვი ტყვიისმფრქვევლებისა, სასანგრო იარაღები. ჯერ გაგებული არ არის რამდენი ზარბაზანია ჰერბეკურში და დუღაბიან ჩაკეტილ სიმაგრეებში.

მდ. მაასის ორივე ნაპირით ქვეითა ჯარის ბრძოლები არა ყოფილა. მარცხენა ნაპირზე საშუალო სიძლიერის საარტილერიო ბრძოლაა. მარჯვენა ნაპირზე კი საარტილერიო ბრძოლა მძვინვარებს პუავრის სიმაღლესთან, ტუომონის საველე სიმაგრეებთან და დანლოუს ბატარეებთან.

**ჰავრი.** 20 ივნისი. ბელგიის ჯარის ასპარეზებზე ცხოველი საარტილერიო ბრძოლაა. ბელგიელების არტილერიამ დაანგრია გერმანელთა პოზიციები დრიგრახტენთან, სტეენსტრატეს აღმოსავლეთით. ბელგიის ასპარეზის სამხრეთ ნაწილში გაცხარებული ბრძოლაა ხელის სასროლ ყუმბარებით.

**ლონდონი.** 20 ივნისი. ბრიტანიის მთავარი ბინა საფრანგეთიდან იტყობინება: იმ ალაგის ცენტრში, სადაც ჩვენ ვუტევთ 4 მილის სიგრძის ფრონტზე ინგლისელებმა დაიპყრეს რამდენიმე გამაგრებული პუნქტი გერმანელებისა და ეხლაც უკავიათ.

სხვა ნაწილებში მედგარი ბრძოლები გრძელდება. ასეთივე მედგარი ბრძოლებია ანკრის ჩრდილოეთით ჰომკურუს მიმართულებით. ამ ადგილებში ჩვენ ვერ შევძელით შეტევის პირველ დღეებში დაპყრობილი ზოგიერთი პუნქტის შენარჩუნება. სხვა პუქტები ჩვენ ხელშია.

ინგლისელთა ჯარის ზურგს უკან მდებარე პუნქტებზე გაუვლია დღემდე 2000-ზე მეტ გერმანელთა ტყვეს. მათ რიცხვში ორი პოლკის უფროსია და ერთი პოლკის შტაბი. მრავლად გაფანტული აქა იქ მტრის ჯარის კაცთა ლეშები ჰმოწმობენ მტრის დიდად დაზარალებას. ფრეკურთან ინგლისელთა რაზმები ზოგ ალაგას გერმანელთა სანგრებში შეიჭრნენ. სუშესა და იპრის შორის ინგლისელებს გერმანელთა გარნიზონები დაუზარალებიათ. ერთ რაზმს 16 გერმანელი დაუტყვევებია.

მფრინავები მარჯვედ მოქმედებენ. მიუხედავად ძლიერი ქარისა, მრავალი ყუმბარა ჩამოუყრიათ გერმანელთა საწყობებში, რკინის გზის კვანძებზე, ბატარეებზე და სანგრებში. ერთი მფრინავი 900 ფუტით დაახლოვებია დედა მიწას და რკინის გზის ბაქანი აუფეთქებია, დაუნახავს, რომ მთელ მატარებელს მოსდებია ცეცხლი, სხვებს აფეთქების ხმა გაუგიათ. დღესაც შესამჩნევად მოქმედებდნენ მფრინავები. ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ არის.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

დასავლეთის ასპერეზზე შეთანხმების სახელმწიფოთა არტილერიას უპირატესობას ანიჭებენ. განსაკუთრებით საფრანგეთის არტილერია ამ ბოლო დროის ბრძოლებში ბევრად სჯობნის გერმანელთა არტილერიას.

——

„ბირჟ. ვედ.“ სწერს: ჩვენი ლაშქრის შეჭრა ბუკოვინაში რუმინიის ნაციონალ იდეალების განხორციელების მომენტად უნდა ჩაითვალოს. ამ ჟამათ რუმინიისათვის საუკეთესო მომენტია, თავის 4 მილიონიან ერის გასათავისუფლებლად. და თუ ეს გათავისუფლება მას სურს, შეთანხმების სახელმწიფოთა გვერდში საბრძოლად უნდა გამოვიდეს. აწ ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ცენტრალ იმპერიების კომპენსაციები აღარ არსებობს, რუსის ჯარი კვლავ წინ წავა. თუ რუმინია კვლავ გერმანოფილურ ყოყმანობასა და ნეიტრალობას განაგრძობს, ჩვენ, რომელთაც წილად გვხვდა რუმინიის ნაციონალ იდეალების განხორციელება, იძულებული ვიქნებით მას არაფერი დაუთმოთ; ან გიჟი ვინ იქნები დაუთმოს რამე ისეთ კაცს, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე ორმოებს გვითხრის და ჩვენს მოსისხლე მტერს სანოვაგეს აწვდის. ტყუილად ნუ იფიქრებს რუმინია, რომ მან თავის ნაციონალური ზრახვანი ერთი წვეთი სისხლის დაუღვრელად აისრულოს, როგორც ეს მას 1913 წ. მოუვიდა, როცა დობრუჯა უბრძოლველად მიისაკუთრაო.

——

დანიური გაზეთი ამბობს: ამ უკანასკნელ დროს რუსთა შეტევებს ორი დიდი მნიშვნელობა აქვს: პირველი ის, რომ აზიის ასპარეზზე ოსმალეთი სრული ად მოსწყვიტა ეგვიპტეს და მეორე-იტალია მოსალოდნელ უბედურებისაგან იხსნაო.

——

ვენის გაზეთებში გალიციის ასპარეზზე ქ. კოლომიის დაკარგვას დიდი აღელვება გამოუწვევია, რადგან კოლომია ერთი მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ადგილთაგანი იყო.

——

ვერდენის ასპარეზზე ჰავასის სააგენტოს ცნობით, ამ მოკლე ხანში გერმანელები კვლავ დიდ შეტევებს დაიწყებენ. მართალი არ გამოდგა ის ხმები, თითქოს გერმანიას ვერდენის ოპერაციისთვის თავი გაენებებიოს.

——

ვერდენის ასპარეზზე ფრანგებს ინგლისელები მოეშველენ. ავოკურის ტყესთან მხოლოდ ინგლისის არტილერია იბრძვის

——

სტოკჰოლმიდან მოსულ ცნობათა მიხედვით, ბალტიის ზღვაში 19 ივნისს დიდი საზღვაო ბრძოლა მომხდარა, ზარბაზნების გრიალი შვეციის სანაპიროებამდის აღწევდა. ბრძოლის შედეგი ჯერ არ იციან.

——

„ნოხ ზეე ფლოტე“ იტყობინება: კილიაში გერმანელებმა რამდენიმე დაზიანებული დრედნოუტი და კრეისერი მოიყვანეს შესაკეთებლად. ამ კრეისერებსა და დრედნოუტებს გერმანია ბალტიის ზღვაში გამოუშვებსო.

——

სარწმუნო წყაროებიდან გაუგიათ, რომ გერმანელებს საზღვაო ფლოტის სადგური კილიადან ლიბავაში გადააქვთო.

——

გემ. „ხანზა“-ს კაპიტანი იუწყება, რომ 19 ივნისს ბალტიის ზღვაში მან შენიშნა ორი კრეისერი. ერთი კრეისერი სამხრეთისკენ მიეშურებოდა და შესდგებოდა კონტრნაღმოსნებისგან, ხოლო მეორე შესდგებოდა არტილერიით შეიარაღებულ გემებიდან და ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდაო.

——

ინგლის-გერმანიის ასპარეზზე მეტად ცუდი ამინდია. თხრილები სულ წყალს აუვსია. დიდი ტალახები ჯარის მოქმედებას ხელს უშლის.

——

იტალიის ასპარეზზე ბრძოლაში დაიღუპა იტალიის ფინანსთა მინისტრის ფატის შვილი, ალპის მსროლელთა ოფიცერი.

——

„პრავიტ ვესტ.“, აღნიშნავს რა კოლომიის აღებას, ამბობს: კოლომია რუსის ჯარს გზას უხსნის ჩრდილო გალიციაში სამოქმედოთო.

——

პეტროგრადელი „რეჩი“ სწერს: გალიციიდან და ბუკოვინიდან ავსტრო-უნგრელები სრულიად უწესრიგოდ იხევენ: სურსათსა და სამხედრო იარაღებს ჩვენ გვიტოვებენო.

——

„რუსკ. ინვალიდი“ სწერს: ამ ბოლო დროს რიგის ყურესთან გერმანელებმა მეტად მოუხშირეს შემოტევებს. მოსალოდნელია აგრეთვე ახალი შემოტევები დვინასთანაც დაიწყონო.

——

„პრავიტ. ვესტნ.“ ამბობს: კოლომიას აღება და ტისმინცის რკინის გზის დაუფლება დიდ ზიანს მოუტანს ავსტრო-გერმანელებს. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ გენ. ლეჩიცკის ჯარის მსვლელობა გავლენას იქონიებს მახლობელ ნაწილებში წარმოებულ ბრძოლაზე, მაგალითად, როგორიც არის ბუჩაჩი, ჩერტოვეცი ჩერნიაევი და კუტიო“.

——

სპარსეთში საექსპედიციო კორპუსს მეტად ხელსაყრელი ადგილი შეხვედრია სამოქმედოთ. ოსმალეთის ჯარი ერთ ჰაობში იმყოფება, სადაც ამ ჟამად მალიარია სუფევს. ბრძოლის დროს ავადმყოფი ოსმალო ჯარის კაცები რუსებს უბრძოლველად ნებდებიან.

——

ლონდონიდან იუწყებიან, მესოპოტამიაში კუტის აღების დროს დატყვევებულ ინგლისელ გენერალს ტაუნსენდს ოსმალოს კომანდირებს შორის უცვნია ერთი თავისი ძველი ამხანაგი, რომელიც პარიზის გიმნაზიაში მასთან სწავლობდა. კუტის ალყას თურმე ეს ტაუნსენდის ნაამხანაგარი აწარმოებდა და ტაუნსენდიც მას შეუპყრია.

——

დასავლეთის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლა 144 კილომეტრის მანძილზე გაჰიმული

——

# ომის დღიური.

**ალმოსავლეთის ასპარეზი.** მდ. სტირ-სტოხოდის შორის და სტოხოდის სამხრეთითაც მედგარი ბრძოლები გრძელდება დღის განმავლობაში რუსებს დაუტყვევებიათ 2000-მდე ჯარის კაცი. რუსებს მოუკლეს ოთხი პოლკის უფროსი

**კავკასიის ასპარეზი.** ბაიბურთის მიმართულებით რუსების წინსვლა გრძელდება. სპარსეთში რუსის ჯარი ქერმან-შაჰთან იბრძვის.

**დასავლეთის ასპარეზი.** ანკრის ჩრდილოეთით ინგლისელებმა დაჰკარგეს წინა დღეებში დაპყრობილი პოზიციები. სხვაგან ალაგ-ალაგ ინგლისელები იმარჯვებენ.

ჰაერში ბრძოლა კვლავ გაცხოველდა.

**იტალიის ასპარეზი.** აზიაგოს ვაკე გორაკზე ბრძოლები სწარმოებს.

---

კოველის დასაცავ სიმაგრეთა ასაგებათ გერმანელები 100,000 კაცს ამუშავებენ. მომუშავეთა უმეტესი რიცხვი ტყვეებისგან შესდგება.

— —

გრაფი ტისა უნგრეთის მცხოვრებლებს მოუწოდებს დაწყნარდენ, რადგან უნგრეთს არავითარი საფრთხე არ მოელის.

— —

მაკედონიის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

— —

ბაზელიდან იუწყებიან: რუმინიის სამეფოს მდგომარეობა თანდათან რთული და გამოურკვეველი ხდება. რუმინია გადაჭრილ გზას ჯერ კიდევ კარგა ხანს ვერ დაადგება· გერმანოფილთა პარტია კვლავ ძლიერია რუმინიაში და მთელი სასახლე თავის გავლენის ქვეშ ჰყავსო.

— —

ოსმალეთის ხონთქარს ვილჰელმისთვის მიუწერია: ჩვენი საქმე თანდათან საფრთხეში ვარდება: გარეშე დამარცხებასთან შინაურმა არეულობამაც თავი იჩინა. გვიშველე რამე და დაიფარე შენი მოკავშირე ოტომანთა იმპერიაო.

— —

ამ ახლო მომავალში ბერლინში მოიწვევენ ცენტრალ მოკავშირე სახელმწიფოთა შერთებულ სამხედრო თათბირს, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე მდგომარეობა და სამოქმედოდ შესაფერისი გეგმა შეიმუშავოს.

— —

ფრანგების ჰაეროპლანები სერბია-ბულგარეთის საზღვარზე ხორბლით დატვირთულ მატარებელს თავს დაესხენ და გაანადგურეს.

— —

ლიბკნეხტისთვის რეიჰსტაგს წევრობის უფლება არ აუყრია.

— —

ვილჰელმი ვერდენის ასპარეზიდან ვენას წასულა.

— —

იმპერატორ ვილჰელმს ავღანისტანის ემირისთვის წერილი მიუწერია. ვილჰელმი სთხოვს ემირს, სამღვთო ომი გამოუცხადოს ინგლისსა და რუსეთს.

— —

ლვოვის დასაცავად ავსტრიელები გერმანელებს კავალერიის მოშველებას სთხოვენ.

— —

ლონდონში ამ დღეებში მოხდება ლლოიდ ჯორჯის სამხედრო მინისტრად დანიშვნა.

## სამხედრო მიმოხილვა

### საერთო შეტევაა, თუ არა?

გუშინდელი დეპეშის კანტი-კუნტი ცნობები არსებითად ეწინააღმდეგებიან იმას, რასაც ყველა მოელოდა და რასაც გვპირდებოდენ წინა დღეების დეპეშები.

აქამდე მოსული დეპეშები გვარწმუნებდენ, რომ საერთო შეტევა მოკავშირეებისა დაიწყო და დიდ ამბებს უნდა მოველოდეთო მათის აზრით, შორს აღარ იყო დრო როდესაც დადგებოდა განკითხვის დღე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფრანგთა გაზეთი „ტან“ სწერდა: გერმანია განადგურდება და ამაში ბრალი მასვე ედება, ვინაიდგან მან ჩააგდო ეს ძლიერი ცეცხლი ბრძოლისა. მართლაც, ისე ახმაურდნენ ყველა ასპარეზებით მოკავშირეები, რომ მოსალოდნელი იყო დიდი ცვლილებები ამ ზავხულში. მაგრამ რას ვხედავთ: ინგლისელებს გუშინდელი ცნობის მიხედვით ანკრის ჩრდილოეთით რამდენიმე პუნქტი უკვე ხელიდან წასვლიათ. ეჭვი არ არის, ეს არა, უმნიშვნელო ფაქტი მით უმეტეს სავალალოა ის, რომ შეტევის დასაწყისშივე მოსდით ასეთი მარცხი.

ამ ხანად მდ. სომმის ორივე მხარეზე, იქ, სადაც ამ ორიოდ დღეში გამუდმებით ქროლავდენ ორივე მხრიდან ზარბაზნის უამრავი ყუმბარები და საიდანაც ინგლისელები და ფრანგები ცდილობდნენ დიდი შეტევის წარმოებას, ბრძოლამ საპოზიციო ხასიათი მიიღო. მხოლოდ აქა-იქ თუ შეიჭრებიან ინგლისელთა და ფრანგთა რაზმები გერმანელთა სანგრებში. მოკავშირეთა ჰაეროპლანები უშენენ გერმანელთა ჯარის ზურგს უკან მდებარე პუნქტებს.

ამნაირად მდგომარეობა დასავლეთის ასპარეზზე ისევ წინანდებური დამყარდა.

ვერდენთან ფრანგებმა მნიშვნელოვანი პუნქტი ტუომონი დაიპყრეს და იმედი იყო გამარჯვება დამყარდებოდა და წინსვლა გაგრძელდებოდა, მაგრამ 20 ივნისს მაასის მარჯვენა მხარეს გერმანელებს იერიშით აუღიათ დანლუ. თუმცა ფრანგებმა დაიბრუნეს იგი, მაგრამ ფაქტი-ფაქტად დარჩა და გერმანელებმა შესძლეს აქტივობა იმ დროს, როდესაც ფრანგები საერთო შეტევას აპირებდენ.

იტალიის ასპარეზზე ავსტრიელებს, როგორც ეტყობა კვლავ წინ წაუწევიათ. წინა დღეების ცნობებით ბრძოლა აზიაგოს აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით სწარმოებდა და დღევანდელი ცნობა კი გვაუწყებს: ბრძოლები ხდება აზიაგოს ვაკე გორაკზეო.

რუსეთის ასპარეზზე ძლიერი, მედგარი ბრძოლებია სტირსა და სტოხოდის შუა. ეს ბრძოლა რამდენიმე ხანია გრძელდება და ჯერ არ ეტყობა ვისკენ გადაიხრება და ვინ გამოვა გამარჯვებული.

ამნაირად, მოლოდინი მოკავშირეთა საერთო შეტევისა ჯერ არ დაწყებულა ვინაიდგან შეუძლებელია, რომ ასე უფეროულად სწარმოებდეს შეტევა მოკავშირეები ძლიერ შეტევას გვპირდებიან და ასეთსაც უნდა მოველოდეთ, ვნახოთ როდის დადგება ამის დრო.

შვერელი.

## ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო“ მეთაურ წერილში კვლავ უბრუნდება ჭიათურის საკითხს და სწერს:

გვეგონა პრესა, ვაჭარ მრეწველნი და საზოგადოების ფართო წრეებიც მიიღებდენ მხურვალე მონაწილეობას იმ საქმის კეთილად დაგვირგვინებაში. მით უმეტეს, რომ ჭიათურის მრეწველობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში. მეორე მისი მსგავსი სიმდიდრე არ მოგვეპოვება. მთავრობამ ჩამოართვა გერმანელ ქვეშევრდომ მესაკუთრეთ ჭიათურის შავი ქვის უდიდესი წარმოებანი და ამ მოკლე ხანში დანიშნულია მათი საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. უცხოეთიდან მოაშურეს ამ სიმდიდრის შეძენას მსურველებმა, სდგება საქციონერო საზოგადოებები, არა ერთსა და ორ ამხანაგობებს ადგენენ არა მარტო ის პირნი, რომელთაც შავ ქვასთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ, საჯარო ვაჭრობისთვის ემზადებიან ამ მრეწველობის სრულიად უცნობი და შემთხვევითი პირნიც. მათ კარგად იციან, რომ ასეთს შემთხვევებში მოხერხებით მრავალ მილიონიანი სიმდიდრის ჩაგდება სულ ცოტა თანხითაც მოხერხებულა. ემზადებიან ამ ვაჭრობისთვის არა მარტო ამ საქმეში გამოცდილნი, არამედ სრულიად უფულონიც კი. მათ კარგათ იციან, რომ რუსეთის ბანკებს დიდძალი თავისუფალი თანხები აქვთ და თუ ისინი ხელსაყრელ საქმეს დაინახვენ, მისთვის ფულს არ დაიშურებენ. ამ რიგად უფულონიც კი, ვისაც ცოდნა და გამოცდილება აქვს, ვინც იცნობს თანამედროვე ეკონომიურ პირობებს, მრავალმილიონიან საქციონერო ამხანაგობებს ადგენენ.

ასეთს მზადებაში არიან უცხონი. ჩვენ? ვინ ფიქრობს ამაზედ, ვის შესტკივა ამისთვის თავი? წვრილმან კინკლაობაში გავატარეთ ის დრო, რომელსაც სხვები წინასწარ მზადებას ანდომებენ. ისინი უკვე მზად არიან საქმეც ამ მოკლე ხანში დასრულდება. საჯარო ვაჭრობა დანიშნება. ნუ თუ ეხლაც ვერ შევსძლებთ ამ მავნე დაუდევრობას თავი დავაღწიოთ? იქნება კიდევ რაიმე მოხერხდეს. ჭიათურა ხომ ძარღვია იმერეთის ეკონომიური ცხოვრებისა და ჭიათურის მიწები ჯერ კიდევ ქართველობის ხელშია. შავი ქვის მრეწველთა დიდ უმეტესობას ქართველები შეადგენენ თუმცა ისინი წვრილი მრეწველნი არიან. დროზე რომ შემდგარიყო თუნდაც სულ წვრილ მრეწველთა საზოგადოება, ბანკების შემწეობით საჭირო თანხას ადვილად მოიპოვებდა შესაძლოა ჭიათურის წარმოება ხელში ჩაეგდოთ. მაგრამ მათ ის ვერ მოახერხეს. ნუ თუ არავინა ჰყავთ მეთაური და გზის მაჩვენებელი?

ჯერ კიდევ უოვლიდვე დაკარგული არ არის ამ საქმეში თვითონ მრეწველთ უოველთვის ექნებათ უპირატესობა უნდა დავაღწიოთ თავი ასეთს დაუდევრობას, თორემ დიდი იქნება ჩვენი დანაშაული ქართველი ერის წინაშე.

ამავე გაზეთში მოყვანილია საყურადღებო ცნობა, რომელიც აქვე მოგვყავს.

უდიდესი ჭიათურის შავი ქვის სამრეწველოების გასაყიდათ, რომელნიც გერმანელების საკუთრებას შეადგენს, დანიშნულია სალიკვიდაციო მმართველობა. თავმჯდომარედ მოწვეულია **პროტასიევი**—ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი მეფის ნაცვალთან წევრებად არიან:

**ა. ს. სოზრიევსკი**—ქუთაისის სახაზინო პალატის გამგე, **თ. დ. ნ. ს. ზ. მიქელაძე**—იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი, **მულინი**—მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი, [illegible]— სამთო მმართველობის წარმომადგენელი, **გრიგორიანელი**—[illegible] ლის წარმომადგენელი, **კოვალენსკი**—მეფის ნაცვლის კანცელარიის საქმის მწარმოებელი და რამდენიმე სამთო ინჟინერი

* * *

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ცნობილ სომეხ კომერსანტს **ლიანოზოვს** და **ოჰანეზოვს** უკვე შეუდგენიათ საქციონერო საზოგადოება 15 მილიონ მანეთის თანხით ამ საქმეების ხელში ჩასაგდებად.

## რუსული პრესა.

„ბირჟ. ვედ.“ ეხება სპეკულიაციასთან ბრძოლას და, სხვათა შორის, სწერს:

„მიწადმოქმედების მინისტრს ბ-ნ ნაუმოვს საჭიროდ მიაჩნია სპეკულიანტთა საბრძოლად საქმე სულ მმართველ წრეების ხელში მოექცეს, მხოლოდ მაშინ ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სპეკულიაციასთან ბრძოლის საქმე მეტად ცუდ პირობებში ჩავარდება, „მოხელეები“, ეჭვი არ არის, სპეკულიაციასთან ბრძოლას გულწრფელად ვერ აწარმოებენ და ამ გვარათ საქმე უფრო გაუარესდება“.

გაზეთს მოჰყავს მაგალითად, თუ როგორ მოეწყო გერმანიასა და საფრანგეთში სპეკულიაციასთან ბრძოლის ორგანიზაცია:

„იქ ყველაფერი საზოგადო ორგანიზაციების ხელშია. მთავრობა მხოლოდ საჭირო დახმარებას უწევს და ამიტომაც სასურველი ნაყოფიც მოაქვსო“.

დასასრულ გაზეთი მოითხოვს, რომ სპეკულიაციასთან ბრძოლა უსათუოდ საზოგადო ორგანიზაციების ხელში გადავიდეს.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

სახალხო უნივერსიტეტისა გამგეობის და ლექტორების საერთო კრებაზე არჩეულ იურიდიულ ეკონომიურ სექციის წევრი, ვლ. ემუხვარი, სთხოვს ამხანაგებს შეიკრიბონ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში 23 ივნისს, სალამოს შვიდ საათზე. სექციაში შემდეგი პირები არიან არჩეულნი.

გრ. გიორგაძე, გრ ლაღიძე, ვლ ემუხვარი, ვლ. ქუთათელაძე, ლონგინოზ გრიგოლია, ილია ფირცხალაიშვილი, მიხ.

---

## სამსახურის კაცი.

(მოთხრობა ბლასკო იბანიესისა*)

სამსახურის კაცი თანდათან ლაპარაკის გუნებაზე მოდიოდა, რასაც ხელს უწყობდა იანესის გულმოდგინეობა, და ბოლოს სულ ენაპირად გადაიქცა.

— უნდა მოგახსენოთ—აღარ ისვენებდა ნიკომედესი—რომ ამასთანავე, დიდი მოხერხებული კაციცა ვარ. ისეთის ხელოვნებით ვასრულებ ჩემ საქმეს, რომ მაყურებელი აღტაცებაში მოდის. რომ იცოდეთ რა ოსტატურად ვიწყობ და ვაილაგებ იარაღებს... თუ გნებავთ თქვენის თვალითვე ნახეთ.

მეგაზეთე შეკრთა და, თითქოს გაქცევას აპირებსო, ლოგინიდან წამოხტა.

— არა, გმადლობთ!—უამისოდაც მჯერა თქვენი სიტყვა—წაილუღლუღა იანესმა და ზიზღით დააცქერდა ნიკომედესის წითელ ფუნთუშა ხელებს. იანესს ეგონა, რომ ეს კაცი გაჟღენთილი იყო იმ ასის კაცის სისხლითა და ქონით, რომლებიც ამ კოტიტა ხელების მსხვერპლნი შეიქნენ.

— ნუ თუ კმაყოფილი ხართ თქვენის სამსახურისა? სიტყვა ბანზე ააგდო იანესმა.

— მეტი ღონე არ არის!.. იძულებული ვარ ერთგულად ვემსახურო ჩემს მოვალეობას ოხ, ნეტავ იცოდეთ, რა მწარე ამ ხელობით მოპოვებული ლუკმა პურისა!—წაიდუდუნა ნიკომედესმა და თვალები ძირს დახარა.

— ყველა ჩემი წინააღმდეგია—მცირეოდენის სიჩუმის შემდეგ განაგრძო დარეოდენის სიჩუმის შემდეგ განაგრძო დაუპატიჟებელმა სტუმარმა, ხშირად ვყოფილვარ ხოლმე თეატრში. იქ, სცენაზე მინახავს, რომ მეფეებს უკან დასდევს წითელ ტანისამოსში გამოწყობილი და მხარზე ცულ გადებული აღმასრულებელი მისის ბძანებისა. იგინი მეფის დაახლოვებულნი და მრჩეველნი არიან. აი, ეს მესმის... ჩემის აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებელი პატივისცემის ღირსი უნდა იყოს, ჩვენი დროის ხალხი კი... ყველა თვალთმაქცია! ბრალმდებელი კანონისამებრ დამნაშავეს სიკვდილით დასჯას უწყვეტს—ეს მისი განაჩენი ყველას მოსწონს, გამოვდივარ მე, ვასრულებ მის გადაწყვეტილებას და ყველა კი პირში მაფურთხებს, განა ეს სამართლიანობაა? სასტუმროში რომ შევდივარ, მაშინვე კინწის კვრით გამომაგდებენ ხოლმე, ქუჩაში ხომ ყველა მერიდება, ასე გასინჯეთ, თვით სასამართლოშიაც კი ზიზღით მიყურებენ, თითქოს სამსახურის კაცი არ ვიყო, თითქოს ჩემი ჯამაგირი კი არ შეჰქონდესთ სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში. ყველა ჩემი წინააღმდეგია!—დაუმატა იმან ჩურჩულით—ისინიც კი... ჩემი მტრები. იცით ვინა? ისინი... რომელთაც მე სიკეთე ვუყავ, გამწარებულ ცხოვრებას გადავარჩინე... ისინი, რომელნიც მოუსავალში წავიდნენ და მაინც უკან ბრუნდებიან... უმადლონი! თუ მარტო დამიგულეს ჰილყვავებივით დამესევიან ხოლმე.

— განა ისინი უკან ბრუნდებიან? შეეკითხა ჟურნალისტი.

— ყოველ ღამე!—მიუგო ნიკომედესმა—მათ შორის ზოგნი—უკანასკნელი მსხვერპლნი—ნაკლებად მაწუხებენ: მაგრამ იმ დროს დასჯილნი კი, როდესაც ჯერ გამოუცდელი ვიყავ.. ღმერთო ჩემო, რომ იცოდე როგორა მტანჯვენ?! ხროვა ხროვა დათამაშობენ ჩემს მკერდზე, მარჩობენ, სულს მიხუთვენ, თვალებში მარტყავენ კალთებს თავისი გძელის სუდარისას, ყველგან თანა მდევენ, თავს არ მანებებენ.. წელან ჯერ არ შევსულიყავ იმ სადგურში, სადაც ჩემი დაბანაკება უნდოდათ, რომ ყველანი კარებში მოგროვილიყვნენ... აი, რისთვის მოვითხოვე ექიმი.. მეშინია სიბნელისა, მეშინია მარტოობისა.

— მარტო ხელი ხართ?

— არა! მე ოჯახობა მყავს, ჩემ სახლში, ბარსელონას: ერთი ძაღლი, სამი კატა და ორვა ქათამი. იმათ ადამიანის ლაპარაკი არ ესმით და დიდის პატივისცემით მეპყრობიან, სხვა იდამიანებში არ მარჩევენ ჩემთან ერთად ისინიც ნელ-ნელა ბერდებიან. თავის დღეში აზრადაც არ მომივა ჩემი ქათმების დაკვლა, ვინაიდან სისხლის დანახვაზე—გული მიმდის ხოლმე!.. მოხუცი ლაპარაკობდა ისეთის ბეჩავის, საბრალო ხმით, გეგონებოდათ, გულ ღვიძლი ელადრებაო.

— განა სახლობა კი არა გყოლიათ?—კვლავ დაეკითხა ჟურნალისტი.

— სახლობა? როგორ არა, მყავდა! თქვენ ყველაფერს გიამბობთ, ჩემო ბატონო, ვინ იცის, რამდენი ხანია, რაც ადამიანს არ დავლაპარაკებივარ!... ცოლი ამ ექვსი წლის წინად მომიკვდა. ნუ გეგონებათ, რომ ჩემი ცოლი ასეთივე ლოთი და გარყვნილი ყოფილიყოს, როგორებიც ყველა ჯალათის ცოლები ჰგონიათ. არა! აგი ყოვლად უმანკო და მშვენიერი არსება იყო. სამხედრო ბეგარა რომ მოვიხადე, მაშინ შევირთე მალე შვილებიც გაგვიჩნდა:—ქალ-ვაჟი. გაგვიჰირდა ცხოვრება, დაგვიძვირდა პური და წყალი. დიდ გაჭირვებაში ჩავარდით. ან კი რა გითხრა, სხვა სხვის ომში ბრძენიაო—ნათქვამია.

სიღარიბე, სიყმაწვილე და, ერთით, ჩემი ხასიათის სიმკაცრე—პირველი მიზეზი იყო, რომ ამ თანამდებობას ხელი მოვკიდე. იქნება გგონია ადვილად ვიშოვე ეს სამსახურიც კი? არა, ბიძია, აქაც პროტექცია დამჭირდა!.. ხალხის პირველი ზიზღი მამხნევებდა კიდეც: ვამაყობდი იმით, რომ ჩემი ერიდებოდათ და ეშინოდათ. სამსახურის საქმეთა გამო ნახევარი ესპანია შემოვიარე. ამასობაში ჩემი ცოლშვილი თანდათან მშვენდებოდენ, ვარდივით იფურჩქნებოდნენ. ბოლოს ბარსელონაში დავსახლდით... ოხ, რა კარგი, რა ბედნიერი იყო ჩემთვის ეს დრო! ხუთი ექვსი წელიწადი ისე გავიდა, რომ სამსახურისათვის აღარ დავუბარებივართ. შავი დღისთვის შენახულ ფულებით ვიყიდე პატარა სახლი და ჩინებულად მოვეწყე. როგორც სასამართლოს მოხელეს, მეზობლებიც პატივისცემით მეპყრობოდნენ, ვაჟიც წამომეზარდა. მეტის მეტი მუყაითი, სათნოიანი და პატიოსანი იყო. სწორედ ღვთის შვილს ჰგავდა და ერთ სავაჭრო დაწესებულებაში კარგი ადგილი იშოვა ჩემი ქალი ხომ ნამდვილი ანგელოზი იყო—ნეტა აქა მქონდეს მისი სურათი, რომ მეჩვენებინა. ქერა-თმიანი, ხუჭუჭა და ლურჯის, ცასავით მოკამკამე თვალებიანი, სწორედ იმ მეფის ქალსა ჰგავდა, ოპერაში რომ არის ხოლმე აწერილი. ისა და დედა მისი ქუჩაში რომ მიდიოდენ, ბარსელონის ყმაწვილი კაცები ჯგუფ-ჯგუფად უკან მისდევდენ, მისის ეშხით ბნდებოდნენ. მაგრამ იმას თავისი დანიშნული ჰყავდა: ახალგაზდა მშვენიერი ვაჟკაცი—ახლად სწავლა დამთავრებული ექიმი. ოხ, რომ იცოდეთ რა ბედნიერი ვიყავ მაშინ!—ნიკომედესს ხმა აუკანკალდა, თვალები ებლანდებოდა, მაგრამ თითქოს დაშინებული ბავშვიაო—ცრემლებსა ყლაპავდა.

— ამ დროს დაიჭირეს ერთი ცნობილი ავაზაკი. სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა და განაჩენის აღსასრულებლათ დამიბარეს, აღარც კი მახსოვდა, რომ ასეთი თანამდებობა მებარა! სარჩობელასთან რომ ვიდექი, ნახევარ ქალაქმა მიცნო. გამოჩნდნენ ისეთი მეგაზეთეებიც (ესენი ხომ სწორედ ონავრები არიან, მაპატიეთ კი), რომლებმაც მე და ჩემი ცოლი გაზეთში ჩაგვაგდეს და ამტკიცებდნენ, რომ „თუმცა, ნიკომედესი და იმის ცოლი, სახით ადამიანებს ჰგვანან, მაგრამ საქმით კი სისხლის მსმელები არიანო: ჟურნალისტებმა სახელი გაგვითქვეს. მაგრამ რა ბედენაა ასეთი სახელი. ჩემ დანახვაზე მეზობლები კარ-ფანჯრებსა ჰხურავდნენ, ხოლო ქუჩაში კი ყველა შეურაცხყოფას მაყენებდა. ერთ დღეს, სახლში დაბრუნებისას, ჩემი ცოლი გადარეული მომეგება: „ჩვენი ქალი.. ჩვენი ქალიო“! ჭკუა დაკარგვით ლუღლუღებდა იგი... ლოგინზე მწოლიარე ტურფა და მშვენიერი ჩემი ქალი კი გაფითრებული·ყო... სიკვდილს ებრძოდა. პირზე ქაფი მოსდებოდა... საბრალოს თავი მოეწამლა! მას ძრიელ უყვარდა თავისი დანიშნული და მისი უარი ველარ აიტანა. თვითონ მე წავიკითხე ჩემი სასიძოს წერილი. „გული მიკვდება, რომ უარს გეუბნები, მაგრამ ჯალათის ქალს ვერ შევირთავო“. მოკვდა უბედური ჩემი ქალი და მე კი დრო აღარ დამირჩა, რომ მეგლოვნა, გამომეტირნა იგი. მთელი ქვეყანა ჩვენ წინააღმდეგ ამხედრდა და ბედნიერი, მშვიდობიანი ჩემი კერა დაინგრია. ჩემი შვილიც სამსახურიდან დაითხოვეს: — „ჯალათის შვილი ყოფილხარო“. ოხ, რა უსამართლოა ხალხი! სად შეეძლო იმ უბედურს, რომ დაბადებამდის თავისი მამ ამოერჩია. განა ის დამნაშავე იყო, რომ მე ვიყავი მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერზული, ევგენი გეგეჭკორი.

✦ შავს ზღვაზე დაღუპულა სატრანსპორტო გემი, რომელსაც ქ. თბილისისთვის ფქვილი მიჰქონდა.

✦ თბილისის მესამე გიმნაზიის დირექტორი ბ. კ. კრომარენკო დაინიშნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორად. წინად ამ თანამდებობის ამასრულებელი ლარიონოვი გადაყვანილ იქნა განათლების სამინისტროში. ერევნის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ე. ჭოლოშვილი ინიშნება თბილისის მესამე გიმნაზიის დირექტორად.

✦ რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთი“ს № 12

ჟურნალი შინაარსიანად არის. შედგენილი და, სხვათა შორის, დასტამბულია ბ-ნ ივ. გომართლის წერილი „სახადი ანუ საორმოცე“.

✦ საგუბერნიო აგრონომს ბ. ვასილევსკის უკვე მოუვიდა აღწერილობის ქაღალდები. 20 ივნისს დაიწყო კურსები, რომელზეც ამწერლები გაეცნობიან ქაღალდების მსვლელობის და ჩაწერის სისტემას. აღწერა ამ დღეებში დაიწყება.

✦ 22 ივნისს თბილისისქუჩაზე ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ოქმი შეუდგინა, მეთორნე ერმალო მურისიძეს პურის ზედმეტ ფასში გაყიდვისათვის.

✦ დაბა სამტრედიის ქ. შ. წერა კითხვის გამ საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება მიეცეს მათ გახსნან სოფელ კულაშში უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო მასწავლებელ თედოსია მიქელაძის ქალის პასუხისმგებლობით.

21 ივნისს ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიის კურს დასრულებული მოწაფეები ტრიფონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ქუთაისიდან აჯამეთს გაემგზავრენ ანანოვის მამულების დასათვალიერებლათ.

✦ სოფელ ნაგარევში (ქუთ. მაზ.) და ადგინეს დაარსონ წვრილი საკრედიტო ამხანაგობა. ამხანაგობის წევრათ 43 კაცი ჩაეწერა. თავჯდომარეთ აირჩიეს ადგილობრივი მღვდელი სამსონ ბურჯანა'ე დადგენილება უკვე წარუდგინეს ინსპექციას, დასამტკიცებლათ.

✦ სოფელ დიდი გეზათის (სენ. მაზ.) მცხოვრებლებმა, შუამდგომლობა აღძრეს ქუთასის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება მიეცესთ მათ გახსნან „სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა“.

✦ სოფელ გულეისკარის (სენ. მაზრა) მცხოვრებნი შუამდგომლობენ ქუთ. გუბერნატორთან, რათა ნება მიეცეს მათ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება.

✦ ბაქოში გარდაიცვალა ექიმ ახუნდოვის მეუღლე შთამომავლობით ფრანგი. განსვენებული მაჰმადიანთა საზოგადოებაში ერთ ერთ საუკეთესო მუშაკად ითვლებოდა. იგი იყო აგრეთვე წევრი ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებისა და გასულ წელს დიდი მონაწილეობა მიიღო აწიოკებულ აჭარელთა დახმარების საქმეში.

✦ უნივერსიტეტებში სამოსწავლო დრო 4 წლის ნაცვლად 3 წლით შეიცვლება.

✦ კავკასიის გაპოქცეულთა საქმის მომწესრიგებელმა მთავარმა ბიურომ გაპოქცეულთათვის მიიღო 900,000 მანეთი.

✦ თბილისიდან კავკავამდე ტელეფონი გაიყვანეს.

✦ ამჟამათ ქუთაისის ბაზარზე დიდძალი პარკი შემოვიდა. პირველი ხარისხის პარკი ფასობს ფუთი 38 მან. მეორე ხარისხის 37 მან. ხოლო მესამესი —36 მან.

✦ ქუთაისის ბაზარზე სოფლებიდან უკვე შემოვიდა ჰყინტი სიმინდის ტარო.

✦ 21 ივნისს პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდა საქართველოს ეგზარხოსი.

✦ სოფელ ბობოთში 26 ივნისს, კვირას, ქ. გიმნაზიის მოსწავლეთა მეთაურობით გაიმართება უფასო წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება: „მოტყუებული“ და „ტიმოთეს ლეღვი“.

✦ სოფელ ნაყურალეშის მცხოვრებლებმა ვასილ, ეფიმ და ნიკოლოზ ყურაშვილებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მათ გახსნან სოფელ ნაყურალეში სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა.

✦ ქ. გიმნაზიის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ არს, რომ იმ მოწაფეებს, რომელნიც გასათავებელ გამოცდების დროს სუსტი აღმოჩნდენ და სიმწიფის მოწმობა ვერ მიიღეს, ხელახალი გამოცდები დაენიშნოსთ აგვისტოში.

✦ როგორც გვწერენ, თბილისის გუბერნიაში შაქრიანის სოფლის საზოგადოება დიდათ დაუზარალებია სეტყვას. დაუსეტყვავს სულ 20 დეს. ვენახი და 600 დეს. მინდვრის ნათესი.

იასონ გაბილაია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას დაეკარგა საფულე 16 მ. 16 კ. და, მისთვის საჭირო, ხოლო სხვისთვის ყოვლად გამოუსადეგარი კვიტანცია ბარათებით, რომელთა შორის მოქცეულია ბათუმის კამენდანტისგან მოცემული მოწმობა მის სახელზე. დიდად მოხარული ვიქნები მნახველის პატიოსნებით, თუ დამიბრუნებს საბუთებს მაინც, „კოოპერაციის“ რედაქციაში (თფილისის ქ. ვლად. წერეთლის სახლი).

---

მშობელი? საწყალი ყმაწვილი დანაღვლიანდა, ხალხს ერიდებოდა. ჩემი კეთილი და მხიარული ვაჟი აჩრდილს დაემსგავსა, გულჩათხრობილი შეიქნა. ერთ დღეს დამეკარგა კიდეც, სადღაც გადიმალა ოხ, რა სულელები ვიყავით მე და ჩემი ცოლი, როდესაც ჩვენი თავი სხვის სწორად გვეჩვენებოდა და იმდენი კადნიერებაცა გვქონდა, რომ ბედნიერებაზედაც კი ვფიქრობდით!...

—მას შემდეგ თქვენი შვილისა არა გაგიგიათრა? შეეკითხა ცნობის მოყვარეობით გატაცებული იანესი—როგორ არა იგი, ოთხი დღის შემდეგ, წყლიდან დამრჩვალი ამოათრიეს,—დასივებული, გახრწნილი.. ახლა თქვენვე ადვილად წარმოიდგენთ, შემდეგში რაც დაგვემართებოდა. საწყალი ჩემი ცოლი სანთელივით ჩამოდნა და შვილებს თან გაჰყვა. მე კი... დავრჩი მარტოდ-მარტო, გაბოროტებული, ყველასაგან დევნილი. ღვინოც კი ველარ მიქარვებდა სულის ბოღმას, ვინაიდგან, როცა კი დავითრობოდი ხოლმე, ისინი ჩემი მსხვერპლნი, მოსვენებას არ მაძლევდენ, სულთვალ წინ მელანდებოდნენ და შიშით ვილეოდი. ღმერთმა მშვიდობა მისცესთ!—მე ისინი მაინც არ მეჯავრებიან, რადგანაც ჩემთვის არა დაუშავებიათრა, პირიქით, ვსტირი ხოლმე კიდეც როდესაც სარჩობელაზე ამყავს. მეჯავრებიან მხოლოდ სხვები, ის უცნობები, რომელთაც ზიზღის გამოცხადებითა და მძულვარებით ოჯახური ბედნიერება მომისპეს, ნეტა მთელ ქვეყანას, ყველა იმათ ერთი კისერი გამოებათ, ოოხ! როგორი სიამოვნებით გავაგდებინებდი თავს!... დაიყვირა ნიკომედესმა, ზეზე წამოიჭრა ოთახში სირბილი დაიწყო და მუშტებს ჰაერში იქნევდა. იგი აღარ იყო ის საბრალო წინწინა მოხუცი, რომელიც წელან შემოვიდა. მის არსებაში მჯდომმა მხეცმა თითქოს გაიღვიძა, აიტაცა იგი, გაზარდა, მედგარი შეხედულება მისცა, სიბრაზისაგან თვალებს აკვესებდა გეგონებოდათ წამწამებიდან სისხლი გადმოდისო.

სამარისებურ სიჩუმეში კვლავ გაისმა სიკვდილით დასასჯელის ნაღვლიანი სიმღერა ნიკომედესს არაფერი ესმოდარა. იგი გამხეცებული დარბოდა და გამწარებით ურტყავდა ფეხებს იმ იატაკს, რომელიც ჰქერი იყო მისის მსხვერპლისა. დაბოლოს ყური წაუგდო სიმღერის ხმას და თავისთვის წაიდუდუნა.

—რა იცის იმ უბედურმა, რომ მე, აქ მის თავზე, დავდივარ, მაგრამ ამ სიტყვებმაც ვერ დაამშვიდა იგი. ქვეყნის საწინაამდეგოდ მომართული მისი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ და აღელვებულის ხმით ისევ იანესს მიუბრუნდა.

—იცი რა გითხრა, ჩემო ბატონო? ვგრძნობ რომ ბოროტმოქმედი ვარ და ხალხის ზიზღიც სამართლიანად დავიმსახურე, მაგრამ იცი რა მაბრაზებს? ხალხის ულოღიკობა, უაზრობა. თუ ჩემი ხელობა დანაშაულობაა—დაე, მოსპონ სიკვდილით დასჯა და მეც სადმე ძაღლივით მშიერი გადავიღრძობი, ხოლო თუ ავაზაკთა სიკვდილით დასჯა საჭიროა არა ავაზაკთა საკეთილდღეოდ, მაშინ ზიზღს რაღად მიცხადებენ? რის მაქნისია ბრალმდებელი, ანგანაჩენი სასამართლოსი, თუ კი აღსრულებაში არ მოვიყვან. ჩვენ ყველა ერთის მანქანის ხელსაწყონი ვართ და ვფიცავ შემოქმედს, რომ ჩვენ ყველას ერთგვარი პატივის ცემა გვეკუთვნის, ვინაიდგან მეც სამსახურის კაცი ვარ და ამ სამსახურში ოცდაათი წელიწადიც გავატარე!

ი—ცანი.

# ალექსანდრე ყიფშიძის დაკრძალვა.

21 თიბათვეს, დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეოში მიწას მიაბარეს სასიქადულო მამულიშვილის ალექსანდრე თევდორეს ძის ყიფშიძის ცხედარი.

ძვირფას ცხედრის პატივსაცემად დიდუბის ტაძარში შეიკრიბა დიდძალი ქართველი საზოგადოება როგორც თბილისის, ისე პროვინციებიდან ჩამოსული წარმომადგენელნი სხვა და სხვა საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა და კავშირთა. მთელი ტაძარი და გალავანი სავსე იყო ხალხით. წირვასა და ანდერძს დაესწრნენ მთელი შემადგენლობა სადგილმამულო კომისიისა, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა მაზრის წინამძღოლნი, თბ. გუბერნიის თ-დ აზნ. წინამძღოლის თ-დ კ. ნ. აბხაზის მეთაურობით, „საქართველოს“ რედაქციის მთელი კოლეგია და თანამშრომელნი და დანარჩენ ქართულ პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენელნი, თბ. ყველა ქართულ დაწესებულებათა საკულტურო და საგანმანათლებლო საზოგადოებათა და კავშირთა წარმომადგენლები და მრავალი პროვინციის დეპუტაციები.

## დეპუტატები.

დაკრძალვას დაესწრნენ წარმომადგენელნი 1) ზემო ქართლის გლეხობისაგან (ვ. ნოზაძე, ლ. კაპანაძე, 2) ზემო გომის საკრედიტო ამხანაგობისა (3 ყაველაშვილი), 3) გომის სინდიკატისა (მ. მგალობლიშვილი). 4) „სამშობლოს“ რედაქტორი (ი ცინცაძე), 5 ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისა (ი. ჟღენტი), 6) ქუთაისის ნაციონალ დემოკრატიულ ჯგუფისა—(ი. ცინცაძე), 7) ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების თბ. განყოფილებისა (დეკ. დ. ხახუტაშვილი), 8) ახალციხის საქ. საზოგადოების სკოლისა ს რაბათში, განსვენებულის მიერ დაარსებული (მღ. კანდელაკი) 9) ახალციხის კოოპერ. საზ. „მესხეთისა“ (ვ. ბალაშვილი), 10) ახალციხის მაჰმადიან-ქართველთაგან—(ბახში ბეკ-მაჩაბელი) 11) ახალციხის ბეგებისაგან—(ზია ბეკ-შარაფშიევი), 12) ახალციხის ქართველებისაგან (სტუდ. ს. დიდიმამიშვილი) და წარმომადგენელნი სასოფლო საზოგადოებათა: ალელთა, მარტყოფელთა, საგარეჯოელთა, ბრეთელთა, გიორგიწმინდელთა, ახალქალაქელთა, საღოლაშენელთა და სხვ

წირვა დაიწყო დილის 10 საათზე. მწირველი იყო გორის ეპ. ანტონი არქიმანდრიტებ ნაზარისა, დოსითეოსის და ქართველ სამღვდელოების თანალოცველობით. წირვის შემდეგ გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ეპ. ანტონიმ წირვის შემდეგ დაიწყო ანდერძი. წირვაზე და ანდერძზე გალობდა ორი გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და დიდუბის ტაძრისა. ანდერძის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მღ ვ კარბელაშვილმა.

ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე განსვენებულის კუბო გამოასვენეს ტაძრიდან ხელით „საქართველოს“ რედაქციის კოლეგიამ, თ-დ აზნ. გუბერნიის წინამძღოლმა აბხაზმა და განსვენებულის მეგობრებმა და ქართველ მოღვაწეთა პანთეონში გათხრილ სამარის წინ დაასვენეს. მცირე პანაშვიდის და ნათესაობის გამოსალმების შემდეგ სამარის წინ სიტყვები წარმოსთქვეს: „საქართველოს“ რედაქციისა და კოლეგიის მხრივ სპ. კედიამ, გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის მხრივ ია ეკალაძემ; ახალციხის საქველ. საზოგადოების თბ. განყოფილების მხრივ დეკ. დ. ხახუტაშვილმა, ახალციხის ქართ მაჰმადიანთა მხრივ ბალში ბეკ. მაჩაბელმა, ახალციხის ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების მხრივ მღ. ი. კანდელაკმა და გურჯაანის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის წარმომადგენელმა. სიტყვების შემდეგ განსვენებულის ცხედარი ნაშუადღევის 2 საათზე მიაბარეს მიწას ალ. ხახანაშვილის და ი. გოგებაშვილის სამარეთა შუა, „ს“

# ალექსანდრე ყიფშიძე—ფრონელი.

21 ივნისს, ჩვენს დედა ქალაქ თბილისში შავ მიწას მივაბარეთ ჩვენი ერის დაკვირვებული და ნიჭიერი მოჭირნახულე ალ. ფრონელი.

ალექსანდრე ფრონელი არ იყო მარტო ჩვენი წარსულის მღელვარე ცხოვრების ცოცხლად დამხატველი. ის იყო იშვიათი ქართველი, რომელიც ჩვენი ქვეყნის უკუღმა დატრიალებულ ჩარხის წაღმა დაბრუნებას სცდილობდა და თავის შრომასა და ენერგიას არ ზოგავდა.

უკანასკნელ დღემდე ძვირფასი ალექსანდრე სწორედ ასეც იქცეოდა...

მისი მოღვაწეობა როდი განისაზღვრებოდა მხოლოდ კაბინეტური მუშაობით მას შეხვდებოდით სოფლად გლეხებთან მესაუბრეს, რომელთაც უხსნიდან ახალ მეურნეობას და სხვადასხვა საჭირო დარიგებას აძლევდა. ხოლო თავადიშვილებს ურჩევდა, თავის მამული უცხოელისთვის არ ჩაეგდო ხელში, მოევლო და თვითონვე ეპატრონებია მისთვის

დიახ, ამ საშინელ ქარბუქის დროს ასეთი ძვირფასი წევრი დაკარგა პატარა საქართველომ...

მე პირადათ ბედნიერება მქონდა რამ დენჯერმე შევხვედროდი ამ დიდ ადამიანს და დავლაპარაკებოდი მას.

ამ შვიდიოდე თვის წინათ გაზ. „საქართველოს“ რედაქციიდან ხშირად მგზავნიდენ დეპუტატთა საკრებულოში ალექსანდრესთან წერილისათვის. ამ „შეხვედრებიდან“ ჩემს გულში ბევრი რამ აღიბეჭდა, მაგრამ, სასწუხაროდ, ყველას გადმოცემა, როგორც ეს ალექსანდრეს სახელს შეეფერება, ამ ჟამად არ ძალმიძს, რადგანაც გული ჩემი სავსეა პატიოსანი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარების გრძნობით. მოვიყვან მხოლოდ ერთ პატარა ეპიზოდს.

— დილის ცხრა საათი იქნებოდა, მე ალექსანდრესთან მასალაზე მივედი ალექსანდრემ თავის დინჯი ხმით მანიშნა იქვე ჩამოვჯდარიყავი და მომეცადნა...

ამ დროს ალექსანდრესთან ერთი გენერალი იჯდა და ალექსანდრეს გაცხარებით რაღაცას ეუბნებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ალექსანდრემ სრულიად დაწყნარებით უთხრა გენერალს: „ყოვლად მოუხერხებელია და მიუტოვებელი, ბ-ნო, მამულის გაყიდვა და ისიც უცხოელზე, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თქვენ მეტ ფასს გაძლევს. თუ არ დაიშლით და უთოდ გაჰყიდით მამულს. ჩვენს გლეხობას უნდა მიჰყიდოთ; შეიძლება ფასში ვერ რიგდებით, მაგრამ, იმედია, გლეხობას სადმე შეღავათიან სესხს ვაშოვნიებთ და თქვენ მამულს ხელიდან არ გავაშვებინებთ. მერე იცით რა სახნავსათესი მამულია“...

აქ გენერალი ადგა და გაჯავრებული გავიდა..

შემდეგ ალექსანდრე წამოდგა, მომიბრუნდა მე და მითხრა:

„რედაქციაში გადაეცი, რომ სამწუხაროდ ამ კვირისთვის ვერაფერი ვერ დავამზადე, სულ სოფლებში დავიარები, იმ კვირია უთუოდ მოვიცლი თქვენთვის.. დღეს გაზეთიდან ცენზორს ერთი წერილი სრულებით ამოუშლია, სჩანს, ნამეტანი ცხარედ ყოფილა დაწერილი. საჭიროა ჩვენმა მომავალმა მომქმედმა თაობამ ირწმუნოს, რომ ქვეყანას ყვირილით და სიცხარით არაფერი გაუკეთდება... არც ცხარე წერილების წერა უშველის ჩვენს ქვეყანას, საჭიროა“... ვინ იცის, რას იტყოდა აქ ნეტარხსენებული ალექსანდრე, მაგრამ ამ დროს მასთან მისი ერთი თანამშრომელთაგანი შემოვიდა და ლაპარაკი შესწყვიტა. ალექსანდრე მას მიუბრუნდა.. მე ფრთხილად გამოვიხურე კარები და წამოვედი.

მეორე კვირას ალექსანდრემ რედაქციას მართლაც მოაწოდა წერილი და თან დასძინა: „მომავალ კვირაში ბევრი პრაქტიკული საქმეები მაქვს განსახორციელებელი და ამიტომ წერილს ვერ დაგპირდებით“.

დიახ, ალექსანდრე განაგრძობდა პრაქტიკულ მუშაობას და ჩვენი ერის სასურველი მომავლის გამოჭედვას ჩუმსა და მეყაით მუშაობაში სჭვრეტდა

და აი, ასეთი ძვირფასი ადამიანი ულმობელმა სიკვდილმა სრულიად მოულოდნელად მოგვტაცა ხელიდან იმ დროს, როდესაც იგი მუშაობისგან დაღლილ დაქანცული სახლში ბრუნდებოდა.

მაგრამ ალექსანდრესთანა ადამიანები როდი კვდებიან! ისინი კვლავ ერის დარაჯად რჩებიან და მძინარე ერს გასაღვიძებლად მოუწოდებენ...

წარუშლელი იქნება ქართველი ერის გულში ხსოვნა შენი ამ ერისათვის განწირულო ადამიანო!

ი. დიდიძე.

# ალექსანდრე ყიფშიძის ხსოვნას.

ჩვენს ეროვნულ ოჯახს, ერთი [illegible] წევრი შავბნელმა სიკვდილმა, კიდევ გამოსტაცა ხელიდან. აღარა გვყავს სამშობლოსთვის ერთგული მუშაკი ალექსანდრე ყიფშიძე; აღარა გვყავს ჩვენი ქვეყნის სიძველეთა მკვლევარი ალექსანდრე ფრონელი; აღარა გვყავს ეროვნულ—დემოკრატიული მიმართულების ერთი საუკეთესო დამცველი ჩვენი ალექსანდრე. მისი უდროვო სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენი სამშობლოსთვის. როგორც ხის სიმაღლე და სიმსხო მოჭრის შემდეგ უფრო თვალსაჩინო ხდება, აგრეთვე ალექსანდრე ყიფშიძის სახელის სიდიადე და ბუმბერაზობა ქართველმა ერმა მისი სიკვდილის შემდეგ უფრო იგრძნო. ულმობელია სიკვდილი, მან ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანების შებრალება არ იცის. არც წინდაწინ შეამზადებს თავის მსხვერპლს, რომ ნახევ არე-მარეს და პაპლუტ ბუნებას გამოეთხოვოს ეს ახალი თავზარ დამცემი რისხვა სრულიად მოულოდნელი იყო როგორც თვით ჩვენი წყნარი მუშაკის ალექსანდრესთვის, აგრეთვე მთელი ქართველი ერისათვის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ქართველი ერი, ისე დაკნინებული არ არის, რომ მოახერხებდა ჩვენი სიამაყე—ალექსანდრე ყიფშიძისათვის სიცოცხლეში პატივი ეცა და მისი ღვაწლი, სამშობლოსადმი გაწეული, რითიმე აღენიშნა. მომავალი განახლებული, გაფურჩქნული, აყვავებული

საქართველო დააფასებს ღირსეულად მას, ვინც მხატვრული ენით დაწერილი კახეთის ამბოხება გვიძღვნა. გაორკეცებული ენერგიით შევუდგეთ ჩვენი ქვეყნის განახლებას და საერთო ეროვნულ საქმეს, რითაც, უეჭველია, გავახარებთ ჩვენი ალექსანდრეს სულს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ხალხისთვის თავდადებულო და ერთგულო მუშაკო!

მ. ბუაჩიძე.

# პატარა ფელეტონი.

## „მონარქისტთა ყრილობა“

მმართველმა წრეებმა ამ ომის განმავლობაში ყველა საზოგადო ორგანიზაციების ყრილობები აკრძალეს. ამ ზომას პრემიერი შტიურმერი იმ მოსაზრებით ასაბუთებდა, რომ ამ ჟამად „საზოგადო ყრილობისთვის არც დრო არის და არც საჭიროებას წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობა

დიაღ, საზოგადო ორგანიზაციული ყრილობების მოწვევა აკრძალეს, მხოლოდ ამავე დროს ქ. პეტროგრადში დიდის ამბით იწვევენ მონარქისტთა ყრილობა“-ს.

როგორც სატახტო პრესა გადმოგვცემს, „მონარქისტთა ყრილობ“ ს პოლიტიკური ხასიათი ექნება...

შინაგან საქმეთა მინისტრი უსაზღვრო სიხარულს მისცემია და ყველა მონარქისტს სატახტო ქალაქში მოუწოდებს...

როგორც ეტყობა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ყრილობები მავნენი არიან, „მონარქისტთა ყრილობა-კი, თუნდ პოლიტიკურიც იყოს, იგი ძლიერ საჭიროა...

ამას წინად მმართველ წრეებს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მოსთხოვეს. მათ განაცხადეს: ეს ყოვლად შეუძლებელიაო. ხოლო მეორე კვირაში-კი მმართველმა წრეებმა ყველა საზოგადო ორგანიზაციისგან თავის მოქმედების დროს პასუხისმგებლობა მოითხოვეს...

მშვენიერი ბუშმენური ლოღიკაა.

ser.

# პროვინციის ცხოვრება

**სოფ. კორბოული** (ზემო-იმერეთი), კორბოულის საზოგადოება შესდგება თერთმეტი უბნისაგან. თითოეულ უბანში ერთი მამასახლისის თანაშემწეა დანიშნული. ამ საზოგადოებაშიაც, როგორც სხვა

გან, აირჩიეს ოცის თავები,—რიცხვით 69 მდე. 16 ივნისს სასოფლო სამართველოში მოვიდა საჩხერის მომრიგებელ შუამავალი ბატ. გ. ცხაკაია, აუხსნა ოცისთავებს მათი მოვალეობა და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა საზოგადოების სასარგებლოთ

ამის შემდეგ, ოცის თავებს, ბატ. ცხაკაიამ წინადადება მისცა აერჩიათ მამასახლისი და სოფლის სხვა მოხელე პირები. მამასახლისათ 61 ხმით ისევ ძველი მამასახლისი სოლომონ ალფეზის ძე ლამბაშიძე აირჩიეს, ხოლო მის კანდიდატათ ოქროპირ მაჭარაშვილი. დანარჩენი მოხელე პირების მაგიერ კი სულ ახლები აირჩიეს. ხელმეორეთ არჩეულ მამასახლის ლამბაშიძეზე უნდა ითქვას რომ მან 3 წლის განმავლობაში დიდი ენერგია გამოიჩინა და რამდენადაც კი შეეძლო სინიდისიერათ ემსახურა საზოგადოებას ამასთანავე ბ. ლამბაშიძე დიდათ უწყობდა ხელს სოფლის კულტურულ დაწესებულებებს.

არჩეულმა პირებმა ერთხმად მოახსენეს ბატ. ცხაკაიას ხალხის დიდი გაჭირვება უქინახულობით და სთხოვეს დახმარება. ბატ. ცხაკაიამ, სცნო რა ხალხის გაჭირვება, დეპეშირ მიმართა ქუთაისის გუბერნატორს და სთხოვა კორბოულის საზოგადოებისთვის მიეცა მთავრობას დახმარება სიმინდით, რომელიც გამოწერილია საიმპერიო თანხის საშუალებით.

მიუხედავათ იმისა, რომ ხალხი დღეს დიდ გაჭირვებას განიცდის ნივთიერად, კორბოულის საზოგადოებამ არსებულ ორკლასიანი სასწავლებლის შენობის გასაფართოებლად კიდევ გაიღო 400 მან, რომელიც მიემატა ამავე საჭიროებისათვის მთავრობისაგან გადადებულ 1000 მან.

კორბოულის საზოგადოება ამ ჟამად უშეშობით დიდ გაჭირვებაშია. მშვენიერი ტყეების უთავბოლოთ განადგურებამ საქენი შეშის ფასი 20-40 მანეთამდე აიყვანა, და რომ ხალხს ახლო მდებარე სახაზინო ბერეთისის ტყე არ უწყობდეს ხელს, ხალხის გაჭირვებას ამ მხრივ საზღვარი არ ექნებოდა.

ბატ. ცხაკაიამ აღუთქვა კრებას, რომ ვიშუამდგომლებ სახაზინო ქონებათა სამართველოსთან, რათა სკოლის საჭიროებისათვის ბერეთისის სახაზინო ტყიდგან უფასოთ დაგვეთმოსთ შეშაო. კრებამ ბ. ცხაკაიას მადლობა გადაუხადა.

მღვდ. ვლ. მაჭარაშვილი

## ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია.

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

### ტ.

**ტაცება**, грабить.

**ტენონი**, მუსკული, მყესი, мышца.

**ტერფი**, ფეხის გული, подошвенная сторона стопы.

**ტერფმოსილნი**, копытныя. სჯობს: ჩლიქოსილნი.

**ტკბილი**, აქედან: შეტკბო (შეითვისა), კეთილად შემტკბობელი, хорошо приспособившій къ себѣ.

**ტომი**, родъ, აქედან: თანატომი, родственный.

**ტომოვნებითი**, родовой.

**ტყირბი**, селезенка.

### უ.

**უარსებო**, несуществующій.

**უბადო**, постыдный.

**უბადობა**, порокъ.

**უბექმნილი**, ჩაღრმავებული, вогнутый.

**უგრძნო**, нечувствительный.

**უდარესი**, меньшій, менѣе значительный.

**უდიდოჲ**, лишенное, величины, непротяженное.

**უდრეკი**, неподвижный.

**უვნებელი**, безстрастный.

**უვნები**, нестрадательный. ვფიქრობ, რომ უვნო უნდა იყოს безвредный, რადგანაც სავნო ნიშნავს + მავნებელს.

**უზიარებელი**, несоединенный, непричастный.

**უზომობა**, неумѣренность.

**უთანადესად**, точнѣе.

**უთნო**, невѣроятный.

**უთხესი**, болѣе тонкій.

**უიძულებლობა**, отсутствіе насилія.

**უკანა**, задній.

**უკლებად**, здраво, безъ недостатка.

**უკუთქმა**, უარყოფა, отрицать.

**უკუნქცევა**, (სიტყვისა), სიტყვის შებრუნება, პირში შეცილება, возратность, вернуть слово.

**ულტოლველობა**, неизбѣжное.

**უმარჯვო**, неприспособленный.

**უმდგმოესი**, осадокъ. устои

**უმენესი**, рутенъ, гименъ дѣвственная плева (ქალწულის სქესობრივი ორგანოს შესავლის აპკი) ბერძნული სიტყვაა.

**უმეტესი—უდარესი**, большій—меньшій.

**უმეცრება**, невѣдѣніе.

**უმიზეზა**, მან უმიზეზა მას, онъ обвиняетъ его.

**უმცროსი—უფროსი**, ниже—выше.

**უმოძღვროდ**, безъ наученія. აქედან: უმოძღვროდ ნასწავლი, самоучка (ახლანდელი ტერმინი).

**უმჯობესი**, лучшій.

**უნაკლულო**, безпорочный.

**უნაკლულობა**, безпорочность. აქედან: სისხლნაკლული, малокровный, უნაკლულოდ, безъ недостатка.

**უნებლიეთი**, непроизвольный

**უპატიობა**, безславіе.

**უპყრობი**, невоздержный.

**უროვმელობა**, безкачественность.

**ურჩეულესი**, лучшій ურჩი (სიტყვისა), не подчиняющійся (разуму)

**უსაზღვროჲ**, безграничный.

**უსასოჲ**, безнадежный.

**უსაშუალოდ**, непосредственно.

**უსრული**, несовершенный.

**უსწავლელობა**, невѣжество.

**უსწოროდ**, неровно.

**უსხეულო**, безтѣлесный.

**უტყვება**, безсловесность, неразумность.

**უტყვი**, безсловесный, неразумный.

**უფალ** ვართ რომელთამე საქმეთა, въ нашей власти нѣкоторыя дѣла.

**უქმი**, შობითგან უქმი, калѣка отъ роду.

**უქმ იქმნა**, приведено было въ бездѣйствіе, **было нейтрализовано**.

**უქვენაესი**, нижайшій.

**უქცეველი**, непревращаемый.

**უქცევი**, неизмѣняемый.

**უშვერი**, невѣроятный, несообразный, неприличный.

**უჩჩვესი**, болѣе мягкій.

**უცდომელი**, непогрѣшимый.

**უცილებელი**, непрерывный.

**უცნაური**, დაფარული, скрытый.

**უძლურება**, немощь. აქედან ახლანდელი ტერმინი: ქალწულებრივი, უძლურება, дѣвичья немочь, дѣвичье малокровье.

**უწურთუელობა**, невоспитанность.

**უწყნარო**, неревный.

**უხმოობა**, безгласность, молчаніе.

**უხმარი** ხელოვნებათა მიმართ, неспособный къ искусствамъ.

**უჯერო**, неправильный, невѣрный, обсурдъ.

**უჯეროება**, несообразность, неправильность.

**უჯეროჲს**, **მოქმედი**, дѣлающій неприличное, ეს უმჯობესია, ვიდრე უჯეროჲს ჩამდენი.

ვასილ წერეთელი.

# რუსეთი.

სატარიფო კომიტეტმა გააუქმა გასაზიდ საქონელზე დადებული „შემცირებული“ ტარიფი. ტარიფი ძალაში რჩება მხოლოდ ფინლიანდიის სამთავროისთვის, სპარსეთის, მონღოლეთისა და შორეულ აღმოსავლეთისთვის.

— —

„რუსკ. სლოვო“ იუწყება, მოსკოვში „სტაროობრიადცებს გადაუწყვეტიათ უარჰყონ წვერის გაპარსვა.

— —

რუსეთის პარლამენტარიები მილიუკოვი და შინგარევი იუწყებიან, რომ, როდესაც იგინი ბერგანსიდან ლონდონს მიდიოდენ, მათი გემი კინაღამ გერმანელებმა დაატყვევესო.

— —

„ბირჟ. ვედ.“ განცხადებათა განყოფილების რედაქტორი 1000 მანეთით დააჯარიმა განცხადების ნებადაურთველად დაბეჭდვისთვის.

— —

რუსეთში შინაურ ფრინველებზე შემოღებული ნიხრი გააუქმეს.

— —

რიაზანის გუბერნიის სამღვდელოებასა და სინოდის შორის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. საქმე იმაშია, რომ სინოდმა რიაზანის სამღვდელოების ყველა ხარჯი არ მიიღო.

— —

კომერციული სასწავლებლის მოწაფეებს უფლება მიენიჭათ უმაღლეს სასწავლებლებში გამოუცდელად შევიდნენ.

— —

უნივერსიტეტების რეფორმაციის პროექტში სხვათაშორის შეტანილია სასწავლო კურსის დროს შემოკლება. მავალითად, თუ დღემდის 4 წელიწადი იყო, დღეიდან 3 წელიწადი იქნება.

— —

მომავალ ივლისში პეტროგრადში მოიწვევენ მონარქისტების ყრილობას. ყრილობაში უპირატესობა ადესელ მონარქისტებს ეძლევათ.

— —

ქალაქთა კავშირებმა გადასწყვიტეს ყოველ ქალაქში თავისი პურის საცხობი მოაწყონ.

— —

მოსკოვში არსდება ქარხანა, რომელმაც უნდა დაამზადოს ხის ფეხსაცმელები. თითო წყვილი ხის ფეხსაცმელი ათ შაურად ეღირება.

— —

„ჩერნომორსკ. გაზეთი“, მთავრობამ 1000 მანეთით დააჯარიმა.

— —

მართველ წრეებში მოხსენება წარუდგენიათ საერობო და საქალაქო კავშირების არასასურველ მოქმედების შესახებ.

## უცხოეთი.

პარიზიდან იუწყებიან: სამეცნიერო აკადემიის კრებაზე უეცრივ გარდაიცვალა ცნობილი სიძველეთა მკვლევარი და ეგვიპტოლოგი ჰასტონმასპერო.

— —

გერმანიაში წლს მოსავალი ნაკლები ყოფილა.

— —

ირლანდიის საკითხში შეუთანხმებლობის გამო ინგლისის პალატის წევრი და მინისტრი სულბორნა სამსახურიდან გადადგა.

— —

მთაშავეთის მეფე პარიზში გადაუყვანიათ.

— —

ვენაში ქალებმა მანიფესტაცია გამართეს, და ყვიროდენ: „პური და საჩქაროდ ზავიო“.

— —

შვეიცარიაში საჩქაროდ მოიწვიეს დეპუტატთა თათბირი. თათბირის მოწვევა გამოიწვია გერმანიის მუქარამ, რომელიც შვეციას საზღვრების დაკეტვას უქადის, თუ იგი მას არ მოემხრო.

— —

სტოკჰოლმში აუარებელი ხალხი შეიკრიბა და ახლად გასამართლებულ ლიბკნეხტს თავისი თანაგრძობა გაუცხადა.

— —

გერმანიამ ნორვეგიის სხვადასხვა მანქანის მიწოდებაზე უარი უთხრა. გერმანია ნორვეგიისგან ითხოვს გამხმარ ხორცისა და ბამბის შემოზიდვას, ეს მოთხოვნილება ნორვეგიაში ჯერ არ განუხილავთ.

— —

გერმანული მარქსისტული გაზეთი „ფორვერტსი“ სწერს: ამ ომში ამერიკისთანა გაუმაძღრობა და ვერაგობა არავის არ გამოუჩენია. იგი სამხედრო იარაღების ბაზრით ფუთობით იგდებდა ხელში მებრძოლ სახელმწიფოთა ოქროებს და როდესაც ძალზე გაიბერა, ახლა მილიტარიზმსაც კი დაუწყო არშიყობაო.

# შემოწირულება.

(ღარიბ ბავშთა დამხმარე საზოგადოების მიერ მაისში გამართულ სეირნობისა).

(იხილე „სამშ.“ № 386)

თ. მთავრიშვილმა—4 მ. და 90 კ., უდადოვმა და ვეილდოვმა—25 მ. და 80 კ., ბაბუა და ყუფარაძემ—10 მ. და 20 კ., მონ. რიჟინაშვილმა—7 მ., კარაგინიანცმა—1 მ. და 20 კ., ბარკაიამ—1 მ., კოსტა წულუკიძემ ცოცხალი ბატკანი, ვ. არჯევანიძემ—5 მ., გრ. არჯევანიძემ—5 მ. და 60 კ., ისტომინმა—3 მ. და 40 კ., ვ. კუხიანიძემ—5 მ., სასტ. „მედვედ-“მა 7 მ. და 20 კ., ს. ჯავახაძემ—5 მ., ი. საიდიძემ—5 მ., ალ. კოჩულავამ—1 მ. და 20 კ., მოშიაშვილმა—60 კ., სასტ. „ბორჟომ-“მა (მავგულიძემ)—1 მ. და 20 კ., თათებოვმა—1 მ., ელიგულაშვილმა—40 კ., ნ. ნემსწვერიძემ—5 მ., ალ. ერუაშვილმა—5 მ., ტ. თევზაძემ—6 მ., კაჭარავამ—2 მ. და 50 კ., თევზაძემ—90 კ., აბდალაძემ—80 კ., კაჭარავამ—2 მ., მ. ხმალაძემ—2 მ., გალუსტოვმა—2 მ. და 50 კ., ისხ. ბურდგენოვმა—6 მ., კ. კობახიძემ—2 მ. და 50 კ., ჯიშკარიანმა—2 მ., ლად ბერძენიძემ—2 მ. და 70 კ., ჯიშკარიანმა—2 მ., ერ. ჩოგოვაძემ—1 მ. და 40 კ., გუბელაძემ—1 მ., ნ. კიკვაძემ—1 მ. და 20 კ., კარგლაძემ—2 მ., ბოჭორიშვილმა—80 კ., ყუფარაძემ—2 მ., ს. ბაბუნაშვილმა 1 მ. და 20 კ., ს. თევდორაძემ—2 მ., ბაბუნაშვილმა—1 მ. და 50 კ. მესხმა—7 მ., ოგანეზოვმა—2 მ. ალექ. დვალმა 2 მ. და 40 კ., ბებელაშვილმა—2 მ., გოგსაძემ—2 მ., ტუემელაშვილმა—1 მ. და 50 კ., გ. ს. ოგანეზოვმა—2 მ., კახიანმა—1 მ. და 50 კ., მამაგეიშვილმა—1 მ. და 50 კ., ნოდიამ—2 მ., კალატოზოვმა—1 მ., მაღლაფერიძემ—1 მ., ნოდიამ—1 მ. და 60 კ., გრიგოლაშვილის სასტუმროთ „ბორჟომ-“მა—15 მ. ჩირაძე და მაჩაბერიძემ—1 მ. და 50 კ., იოსებ ბაკურაძემ—1 მ., ჩოროდვიანის საკანდიტ—10 მ., ნერს. აკოპოვმა—80 კ., აბდ. სეიდოღლი—5 მ. და 20 კ., აბას სადიკოვ—4 მ. და 90 კ., კ მაღლაფერიძემ—1 მ., კშონზერმა—2 მ., კშონზერმა—80 კ., პ აშიანცმა—7 მ., და 50 კ., შათირიშვილმა—4 მ., ჭეიშვილმა—8 მ., ძმ. კოსტავებმა—6 მ., შათირიშვილმა—2 მ. და 20 კ. რ. რიჟინაშვილმა—4 მ., არ. ციციაშვილმა—6 მ, და 40 კ.. მარდ. ფიჩხაძემ—10 მ., ხანანაშვილმა—1 მ., ხ. ხანანაშვილმა—1 მ., ტოპლიშვილმა—4 მ. 20 კ., ძმ. ფიჩხაძეებმა—4 მ და 80 კ., გაბ. ციციაშვილმა—6 მ. და 40 კ., ს. ფიზიცკომ—2 მ. და 50 კ., თავდიდიშვილმა—2 მ. და 50 კ., იაკ. სარიაშვილმა—1 მ და 20 კ., მეფინუდოვმა—3 მ. და 50 კ., ხახამიშვილმა—1 მ. და 50 კ., ეფრაიმმა—5 მ., ჯანელიძემ—3 მ., თოფჩიაშვილმა—5 მ., მაჩუნაშვილმა—4 მ., ბურჯანაძემ—60 კ., ნუცუბიძემ—1 მ., მიქელაშვილმა 60 კ., კიკვაძემ—1 მ. და 50 კ., ენუქაშვილმა—40 კ., კაკიტელაშვილმა—3 მ. და 50 კ., ავ. კაკიტელაშვილმა—3 მ., თეთრუაშვილმა—2 მ., კუჭუხიძემ—50 კ., აბ. ელიგულაშვილმა—2 მ. და 50 კ., ხატაველმა—1 მ., დადუნაშვილმა—1 მ და 30 კ., ბუზიაშვილმა—80 კ., დარსაძემ—80 კ., შ. რიჟინაშვილმა—90 კ., იაკ ენუქაშვილმა—1 მ. და 20 კ., ქშონზერმა მიხ.—1 მ. და 50 კ., მ. ს. არსანოვმა—6 ბოთ შამპანური, ტუემელაშვილმა—50 კ., ხონელიძემ—2 მ., ... —80 კ, რუსაძემ—3 მ., ტუემელაშვილმა—2 მ. და 50 კ., ბექაიამ—6 მ. და 90 კ., ჭარხალაშვილმა—2 მ., კიკვაძემ—2 მ. და 60 კ., ხუციაშვილმა—2 მ. და 40 კ., კუპრაშვილმა—4 მ., იროდ. კუხიანიძემ—4 მ., დ ტაბიძემ—1 მ. და 15 კ., ა. გიორგაძემ—2 მ., გ ჯანგავაძემ—1 მ. და 50 კ., მირიჯანოვმა—2 მ., შოთაძემ—12 მ., დ. გოგორიშვილმა—1 მ. და 50 კ., ჯავახაძემ—2 მ. და 10 კ., ძმ. კუზანოვებმა—15 მ., კაპანაძემ—18 მ., ძმ. ბუტულოვებმა—3 მ, გ. აჯიამ—2 მ., ი. ჯავახაძემ—6 მ. და 75 კ, დ. ჯაჯილოვმა—6 მ. და 75 კ. მ. ოსიპოვმა—3 მ., ს. ტორტლაძემ—1 მ. ა. ჯავახაძემ—50 კ., ი. ფხაკაძემ—65 კ., გ. არჯევანიძემ—1 მ. და 50 კ., ს. არჯევანიძემ—1 მ. და 50 კ.

გამგეობა.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. 5 „ |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 45 |
| „ | — ღამის — | 2 ს. 25 |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. 5 „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 10 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. — |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 5 ს. 25 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით — | 6 ს. 25 „ |

მუშაოჰს ხრესილის მაღნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და საჭმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# საღი კუჭი

# ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაზბობის. მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარ შველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, ბემორისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასადებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)